

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №152

ქ. ბათუმი, 17 თებერვალი 2016 წ

#### ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ და „დ.დ.“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №80 განკარგულების საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაცია“-ს (ს/კ 245533392) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში დასახლება ანგისაში მდებარე 77569,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.02.061) განთავსებული შენობა-ნაგებობებიდან 67,20 კვ.მ. ფართის შენობა.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების ა(ა)იპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშვილდოსნობის ფედერაციისათვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს - რუსუდან ჟოჟაძეს (პირადი ნომერი № 61006029331).

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი